თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5069642

ნომერი: AR1761658

თარიღი : 20.07.2020

გაცემის თარიღი : 18.08.2020

გაცნობის თარიღი : 18.08.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ლუბლიანას ქუჩა , N 36ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დიმიტრი მოსულიშვილი პ/ნ 01015002965
- კრწანისის 8

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 17 ივნისის №4989237 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 20 ივლისს №AR1761658 განცხადებით მომართა დიმიტრი მოსულიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის

2020 წლის 17 ივნისის №4989237 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ემუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 17 ივნისის №4989237 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა, №36ა-ში, №01.13.01.018.118 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, საოფისე) შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2020 წლის 17 ივნისის №4989237 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ განმცხადებელს სურს, საცხოვრებელ ფართობად 2845.6 კვ.მ-ის ნაცვლად 1400.6 კვ.მ-ის, კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად 203.1 კვ.მ-ის ნაცვლად 200.0 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 470.2 კვ.მ-ის ნაცვლად 470.0 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 4289.3 კვ.მ-ის ნაცვლად 2841.0 კვ.მ-ის დაფიქსირება,

სამსახურმა შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა წარმოდგენილ და შეთანხმებულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ 2020 წლის 17 ივნისის №4989237 ბრძანებაში საცხოვრებელ ფართობი უნდა იყოს 1400.6 კვ.მ., კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი - 200.0 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობი - 470.0 კვ.მ., ხოლო საერთო ფართობი - 2841.0 კვ.მ. ამასთან, გეგმარება არ იცვლება უბრალოდ ხდება +3.30, +6.60, +9.90 და +13.20 ნიშნულის გეგმებზე ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 17 ივნისის №4989237 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 17 ივნისის №4989237 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს - 1400.6 კვ.მ., კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად - 200.0 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად - 470.0 კვ.მ., ხოლო საერთო ფართობად - 2841.0 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 17 ივნისის №4989237 ბრძანებით შეთანხმებული +3.30, +6.60, +9.90 და +13.20 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 17 ივნისის №4989237 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 17 ივნისის №4989237 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.